სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებლის
არჩევნების ჩატარების
საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №1
8 აპრილი, 2016 წ.

დღის წესრიგი

1. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ</u>

ვ. გონაშვილმა კომისიას წარუდგინა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის რეგლამენტის პროექტი. კომისიას უნდა განეხილა იგი და მიეღო გადაწყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის რეგლამენტი (დანართი №1).

2. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ</u>

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ვ. გონაშვილის არჩევის შესახებ. კომისიას კენჭის უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს ვ. გონაშვილი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ

ა. თევზაძემ კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის მდივნად დ. ეგნატაშვილის არჩევის შესახებ. კომისიას კენჭის უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს დ. ეგნატაშვილი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის მდივნად.

თავმჯდომარე /ვ. გონაშვილი/

მდივანი /დ. ეგნატაშვილი/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის რეგლამენტი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-15 პუნქტის, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 აპრილის № 36/2016 დადგენილების, თსუ რექტორის 2016 წლის 5 აპრილის №47/01-01 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საარჩევნო კომისიის (შემდგომში - კომისია) რეგლამენტი:

თავი I. კომისიის მუშაობის წესი და უფლებამოსილება

მ უ ხ ლ ი 1.

კომისიის მიზანია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ჩატარების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა და არჩევნების მოქმედ კანონმდებლობასთან, უნივერსიტეტის წესდებასა და უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.

მ უ ხ ლ ი 2.

1. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და კომისიის სხვა წევრებისაგან.
2. კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ– სამართლებრივი აქტით.
3. კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისია.

მ უ ხ ლ ი 3.

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
2. კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.

მ უ ხ ლ ი 4.

კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

მ უ ხ ლ ი 5.

კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მ უ ხ ლ ი 6.

კომისია უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

მ უ ხ ლ ი 7.

კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს შემოსულ კორესპონდენციებს, თუ ისინი უკავშირდება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების საორგანიზაციო, პროცედურულ ან ტექნიკურ საკითხებს.

მ უ ხ ლ ი 8.

კომისიის სხდომის ოქმში უნდა დაფიქსირდეს სხდომის თარიღი; ადგილი; დამსწრე პირები; დღის წესრიგი; განხილული საკითხების შინაარსი; კენჭისყრის შედეგები. კომისიის სხდომის ოქმებს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მ უ ხ ლ ი 9.

1. კომისია წყვეტს რეგისტრირებული კანდიდატის წარმომადგენლის, ასევე სხვა დამკვირვებელთა აკრედიტაციის საკითხს.
2. დაინტერესებულმა პირებმა კომისიას განცხადებით უნდა მიმართონ არაუგვიანეს 18 აპრილის 18:00 საათისა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, საკონტაქტო ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მათ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. კომისიის მდივანი გასცემს აკრედიტაციის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს. მედია საშუალებების განთავსებისა და აკრედიტაციის საკითხს წყვეტს კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი გამარტივებული წესით, სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

თავი II. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატთა რეგისტრაცია

მ უ ხ ლ ი 10.

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს დადგენილი ვადის განმავლობაში უნივერსიტეტის კანცელარიაში.
2. კანდიდატების განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით, 2016 წლის 15 აპრილს, 18.00 საათამდე გადაეცემა კომისიას, რომელიც ადგენს კანდიდატთა სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი დოკუმენტაციის „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე“ თსუ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 აპრილის № 36/2016 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.
3. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დადგინდება ხარვეზი, საარჩევნო კომისია მიმართავს კანდიდატს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, რისთვისაც მას ეძლევა 1-დღიანი ვადა. კომისია ვალდებულია წერილობით მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. თუ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია უარი უთხრას კანდიდატს რეგისტრაციაში გატარებაზე.
4. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მ უ ხ ლ ი 11.

კომისია კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გასცემს რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელ დოკუმენტს. კომისია უზრუნველყოფს კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსებას.

მ უ ხ ლ ი 12.

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია. მათი წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
   ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
   ბ) ადმინისტრაციულ თანამდებობის პირებს.
4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით, როგორიცაა ამომრჩეველთა მოწოდება კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური საგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელება, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, კანდიდატის წარმომადგენლად ყოფნა, წინასაარჩევნო მოწოდება. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

თავი III. საარჩევნო პროცედურები

მ უ ხ ლ ი 13.
რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი.

მ უ ხ ლ ი 14.
კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ წარდგენილ საარჩევნო სიას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობით.

მ უ ხ ლ ი 15.
კენჭისყრის პროცედურა საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ აკრედიტებულ პირს.

მ უ ხ ლ ი 16.
არჩევნები ტარდება 2016 წლის 20 აპრილს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

მ უ ხ ლ ი 17.
ფარული კენჭისყრისათვის უნდა მოეწყოს კაბინა, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საარჩევნო კომისია. უნდა გამოიყოს ადგილი ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისათვის. გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი უნდა იდგეს თვალსაჩინო ადგილზე.

მ უ ხ ლ ი 18.
საარჩევნო კომისიამ თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაქვეყნოს კანდიდატთა და ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. გამოქვეყნებად ჩაითვლება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.

მ უ ხ ლ ი 19.
1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი ანბანური თანმიმდევრობით.

მ უ ხ ლ ი 20.
საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერით დადასტურებული საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 21.
ბიულეტენის გაცემა დასტურდება ამომრჩეველთა სიაში კომისიის წევრის ხელმოწერით. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მ უ ხ ლ ი 22.
თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

მ უ ხ ლ ი 23.
1. თითოეულ ამომრჩეველს არჩევნებში აქვს ერთი ხმის უფლება (ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს).
2. იმ შემთხვევაში, თუ პირს უნივერსიტეტში ერთდროულად უჭირავს როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო თანამდებობა ან ორი ან მეტი სამეცნიერო თანამდებობა ერთდროულად მას გააჩნია მხოლოდ ერთი ხმის უფლება (ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს).

მ უ ხ ლ ი 24.

ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

ა) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის სარეგისტრაციო მაგიდასთან და წარადგენს პირადობის მოწმობას;

ბ) კომისიის წევრი ამომრჩევლის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის გაცემას და ხელს აწერს ბიულეტენს;

გ) შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ის ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს ვის მისცა ხმა;

დ) შემდეგ ამომრჩეველი დებს ბიულეტენს კონვერტში და ათავსებს მას საარჩევნო ყუთში;

ე) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება.

მ უ ხ ლ ი 25.

თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს/მდივანს, ჩააბაროს და მიიღოს ახალი ბიულეტენი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და დაეწერება გაფუჭებულია.

მ უ ხ ლ ი 26.

კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი თვალსაჩინო ადგილას ხსნიან საარჩევნო ყუთს, ითვლიან ხმებს. კომისიის მდივანს მონაცემები შეაქვს შემაჯამებელ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. არჩევნების შედეგებს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

მ უ ხ ლ ი 27.

საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;

დ) შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ე) ერთ კონვერტში აღმოჩნდა ორი ან მეტი ბიულეტენი.

მ უ ხ ლ ი 28.

ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიის მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთ(ებ)ში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ე) კომისიის წევრთა ხელმოწერა.

მ უ ხ ლ ი 29.

გამარჯვებულად ცხადდება კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.

მ უ ხ ლ ი 30.

კომისია არჩევნების შედეგებს აცხადებს არჩევნების დასრულებიდან არა უგვიანეს 24 საათისა. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

მ უ ხ ლ ი 31.

არჩევნების დასრულების შემდგომ საარჩევნო დოკუმენტაცია შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის კანცელარიას.

მ უ ხ ლ ი 32.

თუკი არჩევნების შედეგად გამოვლინდა თანაბრად საუკეთესო შედეგების მქონე ორი ან მეტი კანდიდატი, არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, კომისიის მიერ განსაზღვრულ დროს, ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს თანაბრად საუკეთესო შედეგების მქონე ყველა კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.

მ უ ხ ლ ი 3 3.

არჩევნების შედეგები შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

მ უ ხ ლ ი 3 4.

კომისიის უფლებამოსილება წყდება არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ამოწურვისთანავე.